ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

განკარგულება:**გ-69.69212182**

თარიღი:**06/08/2021**

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრის უზრუნველყოფისათვის შეხვედრის ადგილების გამოყოფის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ქვეპუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“- ს 45–ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

**მუხლი 1**. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრის მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილი საარჩევნო უბნების მიხედვით განისაზღვროს შეხვედრის ადგილები დანართის შესაბამისად (თან ერთვის)

**მუხლი 2.** დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს განკარგულების (საარჩევნო სუბიექტების ამომრჩეველებთან შეხვედრის თაობაზე ინფორმაციის) გამოქვეყნება ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

**მუხლი 3**.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 4.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი